განმარტებითი ბარათი

"საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს პარლამენტის რეგლამენტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) <u>საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი</u>:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მომზადება განპირობებულია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებით და ამავე კანონით დადგენილი დებულებით, რომლის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის, მათი განხილვისა და პარლამენტის პლენარული სხდომისთვის წარდგენის წესი და ვადა უნდა განისაზღვროს საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით.

ა.ბ) <u>საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიზანი</u>:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიზანია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილ ცვლილებებთან საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 219-ე მუხლის შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) <u>საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის ძირითადი არსი</u>:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის თანახმად, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 219-ე მუხლში ასახულია „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილი ცვლილებები და განსაზღვრულია, აგრეთვე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატების საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის, მათი განხილვისა და პარლამენტის პლენარული სხდომისთვის წარდგენის წესი და ვადა.

ბ) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) <u>საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო</u>:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის არც საშემოსავლო და არც ხარჯვით ნაწილზე.

ბ.ბ) <u>საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის</u>

<u>საშემოსავლო ნაწილზე</u>:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) <u>საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე</u>:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიღება გავლენას არ ახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) <u>სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები</u>:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსთვის ახალი ფინანსური ვალდებულებების დაკისრებას.

ბ.ე) <u>საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება</u>:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიღება არ იწვევს რაიმე ფინანსურ შედეგს.

ბ.ვ) <u>საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)</u>:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტით არ ხდება რაიმე გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დაწესება ან მათი განაკვეთების განსაზღვრა.

გ) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
კანონპროექტის მომზადების პროცესში მონაწილეობა არ მიუღიათ არასახელმწიფო დაწესებულებებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ექსპერტებს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:
კანონპროექტს არ ახლავს ექსპერტის შეფასება.

ე) კანონპროექტის ავტორი:
ვახტანგ ხმალაძე

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
ვახტანგ ხმალაძე